პროექტი

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება №

**2023 წლის ----- დეკემბერი, ქალაქი ბათუმი**

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხას (დანართი 1) დაემატოს შემდეგი შინაარსის 256-257-ე პუნქტები:

| № | მისამართი | ობიექტის დასახელება | საკადასტრო კოდი | ობიექტის მონაცემები | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მიწის ფართი (კვ.მ.) | შენობის ფართი (კვ.მ.) |
| 256 | ქ. ბათუმი, დასახლება ანგისა | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.32.19.211 | 226 | — |
| 257 | ქ. ბათუმი, ტბ. აბუსერიძის ქ. №15 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.24.08.177 | 189 | — |

ბ) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმას (დანართი 2) დაემატოს შემდეგი შინაარსის 256-257-ე პუნქტები:

| № | მისამართი | ობიექტის დასახელება | საკადასტრო კოდი | ობიექტის მონაცემები | | საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი) | აუქციონის ფორმა (უპირობო/ პირობებიანი) | ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მიწის ფართობი (კვმ) | შენობის ფართი (კვმ) | | | |
| 256 | ქ. ბათუმი, დასახლება ანგისა | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.32.19.21 | 226 | — | 81 200 | უპირობო | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე |
| 257 | ქ. ბათუმი, ტბ. აბუსერიძის ქ. №15 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.24.08.17 | 189 | — | 274 000 | უპირობო | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე |

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **რამაზ ჯინჭარაძე**

## გ ა მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

**პროექტის სახელწოდება და სათაური**

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და**

**პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონებების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

ა.ბ) პროექტის არსი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში ცვლილებების შეტანა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ".

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**
**მუნიციპალური ქონების და სერვისების**
**მართვის სამსახურის უფროსი**
**დავით კოპინაძე**